სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

სალომე წიკლაური

დოქტორანტი, ასისტენტი,

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიგრაციის საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის სამართლებრივი რეგულირება დამოკიდებულია, როგორც სახელმწიფო ორგანოებზე, ისე სასამართლოზე. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ერთ-ერთი მექანიზმია. თავშესაფრის მაძიებელ პირს, რომელიც საქართველოში შემოდის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვების მიზნით, აქვს გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხდება მისთვის სტატუსის მინიჭება ან უარის თქმა. ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა (პოლიტიკური ნიშნით, რელიგიური ნიშნით და სხვა) საფუძველს. საბოლოოდ, გადამწყვეტი რგოლი, რომელიც განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებელი პირის სამართლებრივ მდგომარეობას, არის სასამართლო. იგი ახორციელებს საპროცესო მოქმედებებს ისე, რომ არ დაარღვიოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, ასევე თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებები.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, სასამართლო არ არის შეზღუდული, როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის მხრივ, ასევე თვითინიციატივით გამოიკვლიოს პირის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს თვითინიციატივა მოიცავს, არა მხოლოდ ფორმალურად დადგენილ სტანდარტს, არამედ შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, თვითინიციატივით, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუმცა, გარკვეულ საკითხებში, საქმის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლოს შესაძლებლობა შეიძლება შეიზღუდოს. საბოლოოდ, სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციათა გადანაწილების გათვალისწინებით, არსებობს ზღვარი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სრულყოფილი შედეგის მიღწევა თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებათა დაცვის ასპექტში.

საკვანძო სიტყვები: თავშესაფრის მაძიებელი, სასამართლო, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი, თვითინიციატივა.

შესავალი

თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს ვალდებულება, არ დაუშვას უცხო ქვეყნის მოქალაქის იმ ქვეყანაში დაბრუნება, სადაც იგი შეიძლება გახდეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების მსხვერპლი, უნდა დადასტურდეს საფრთხის რეალურობა და მიმღებ სახელმწიფოს არ უნდა შეეძლოს გააქარწყლოს ეს საფრთხე შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით.[1] უნივერსალურობის თეორიიდან გამომდინარე, ადამიანის დაცვა უნდა ხდებოდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.[2] თავშესაფრის მაძიებელი პირი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი პროცედურა ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვების მიზნით.[3] იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო (შსს მიგრაციის დეპარტამენტი) არ დააკმაყოფილებს თავშესაფრის მაძიებელი პირის მოთხოვნას, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.[4] ამ მხრივ საინტერესოა, როგორც საქმის განხილვის სამართლებრივი ასპექტები, ისე სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, საქმის გამოკვლევის პროცესში.

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვას აქვს სპეციფიკური მახასიათებლები (მაგ., საქმის განხილვის დაჩქარებული ვადები, ადვოკატის სავალდებულო დანიშვნა, თარჯიმნით უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების გასაჩივრების განსხვავებული ვადა და სხვა). სასამართლო, თავისი დისკრეციის ფარგლებში იკვლევს და აფასებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამართლებრივ და ფაქტობრივ (მაგ., წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია) მდგომარეობას და შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას.[5]

სტატიაში განხილული იქნება თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს, როგორც სასამართლოში მიმდინარე პროცედურულ საკითხებს, ისე მოსამართლის ინკვიზიციურობას. კერძოდ, წარმოჩენილი იქნება:

- თავშესაფრის მაძიებელი პირის ის საპროცესო უფლებები, რომელსაც უზრუნველყოფს სასამართლო;
- სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა მოპოვების საკითხი - რა სახის მტკიცებულებებს აგროვებს სასამართლო თვითინიციატივით;
- სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის საკითხი - საბოლოოდ, რა შედეგის მიღწევაში ეხმარება სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები და როგორ აისახება თავშესაფრის მაძიებლის მდგომარეობაზე. შესაბამისად, შეფასდება თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით სასარჩელო წარმოების თავისებურებანი.

---

[1] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N27765/09, Hirsi Jamaa and others v. Italy“ 2012 წლის 23 თებერვალი, პარაგრაფი 120.

[2] ფირცხალაშვილი, ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #2(41), 2014, გვ. 74.

[3] „საერთაშორისო დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.

[4] მუხლი 21[24], საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

[5] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37801/97 „Suominen v. Finland“, 2003 წლის 24 ივლისი. პარაგრაფი 34; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N16034/90 „Van de Hurk v. the Netherlands“, 1994 წლის 19 აპრილი. პარაგრაფი 61.

ამდენად, სასამართლოს მიდგომა, როგორც იმპერატიულად დადგენილი სამართლებრივი ნორმების გამოყენების თვალსაზრისით, ისე ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის სტატუსის მინიჭების მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

1. თავშესაფრის მაძიებლის სამართლებრივი უფლებები

1.1. ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვის უფლება

უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას და შემოდის საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიზნით, უპირველეს ყოვლისა უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ ზოგად კრიტერიუმებს.[6] აღნიშნული გულისხმობს, რომ მას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავის ქვეყანაში გახდება დევნის მსხვერპლი და შიშიდან გამომდინარე, არ უნდა სურდეს ან არ უნდა შეეძლოს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება ან იგი შეიძლება ვერ აკმაყოფილებდეს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს, მაგრამ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.[7] თუ მიგრანტი თვლის, რომ აქვს ასეთი მდგომარეობა, იგი განცხადებით მიმართვას სახელმწიფო ორგანოს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.[8] თუ ადმინისტრაციული ორგანო თავისი წარმოების ფარგლებში დაადგენს, რომ პირს არ უნდა მიენიჭოს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი, თავშესაფრის მაძიებელი პირი დავას იწყებს სასამართლოში, რაშიც იგი შეზღუდული არ არის.[9] მეტიც, საქმის წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე, მისი საქართველოდან გაძევება დაუშვებელია.[10] საქართველოში ყოფნის პერიოდში, პირი სარგებლობს იმ სოციალური სიკეთეებით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კანონმდებლობიდან გამომდინარე.[11]

1.2. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

მას შემდეგ, რაც თავშესაფრის მაძიებელ პირს ჩაბარდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმება, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის სასამართლოს მხრიდან დავალება, რომ მიენიჭოს ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი.

განსახილველ საქმეზე სადავო საკითხის მარეგულირებელი, საყოველთაოდ აღიარებული ნორმები რეგლამენტირებულია ,,ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციაში, რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის N1996 -II ს დადგენილებით.

---

[6] მუხლი 6, „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“ 15 დეკემბერი, 2016.

[7] მუხლი 15, „საერთაშორის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“ 15 დეკემბერი, 2016.

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ,,თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 06 აპრილი.

[9] მუხლი 31, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995.

10 Field, O., (with the assistance of Alice Edwards) Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees, Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees (April 2006), p. 41-45.

[11] მუხლი 33, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995.

სასამართლო პირველ ეტაპზე ადგენს თავშესაფრის მაძიებელი პირის საპროცესო უფლებებს, რაც საქმის საბოლოო განხილვამდე რეგულირდება. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ ჰყავს ადვოკატი, სასამართლო თვითინიციატივით, სახელმწიფოს ხარჯზე უნიშნავს მოსარჩელეს ადვოკატს.[12] მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება. ამდენად, თავშესაფრის მაძიებელს გარკვეულ საკითხებში აქვს საპროცესო პრივილეგიები, რასაც სავალდებულოდ ასრულებს სასამართლო. ამ კატეგორიის დავებთან დაკავშირებით საქმის განხილვა ხდება სარჩელის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა,[13] თუმცა საქმის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ სასამართლო სრულყოფილად არ გამოიკვლევს საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას. საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლო სხდომებზე, თავშესაფრის მაძიებელი უზრუნველყოფილია მისთვის გასაგები ენის თარჯიმნით. ასევე, სპეციფიკურია გადაწყვეტილების ჩაბარებისა და გასაჩივრების წესი. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თავშესაფრის მაძიებელ პირს გადაწყვეტილება უნდა ჩაბარდეს მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი სახით. აღნიშნულის შემდეგ მას უფლება აქვს გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში (გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში) 15 დღის ვადაში.[14] ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების ასეთი მაქსიმალური ვადა მხოლოდ მსგავსი ტიპის დავებს ახასიათებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუ თავშესაფრის მაძიებელ პირს კანონით დადგენილი წესით ვერ ბარდება მის ენაზე ნათარგმნი გადაწყვეტილება (ფოსტის მეშვეობით ან პირადად), სასამართლო არ იყენებს საჯარო გამოქვეყნების გზით მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების წესს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ემსახურება თავშესაფრის მაძიებლის დაცვას, მისი წარმოშობის ქვეყანაში მასზე ინფორმაციის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით. ასევე, თავშესაფრის მაძიებელი, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ითვლება, რომ საქართველოში იმყოფება ლეგალურად და უფლება აქვს ისარგებლოს სხვა სოციალურ-სამართლებრივი სიკეთეებით,[15] გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი განმეორებით ან ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო არ მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

შედარების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი, რომელიც საქართველოში შემოდის ბინადრობის უფლების მოპოვების მიზნით, მასზე არ ვრცელდება ზემოთჩამოთვლილი ყველა საპროცესო პრივილეგია, გარდა სასამართლო სხდომებზე თარჯიმნის ყოლისა.[16] ამდენად, როგორც გამოიკვეთა, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუტის მაძიებელი პირის მიმართ არსებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება სპეციფიკურობითა და განსაკუთრებულობით გამოირჩევა.

2. სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსამართლის თვითინიციატივის ფარგლებს ინკვიზიციურობის პრინციპი განსაზღვრავს.[17] აღნიშნული გულისხმობს, რომ თავშესაფრის მაძიებლის უფლებასთან ერთად, წარადგინოს სასამართლოში

[12] მუხლი 5, პუნქტი 2^3, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19 ივნისი, 2007.
[13] მუხლი 21^{25}, ნაწილი პირველი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.
[14] მუხლი 21^{25}, ნაწილი მე-2, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.
[15] მუხლი 56, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.
[16] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N3/6427-21, 17 დეკემბერი, 2021.
[17] მუხლი 4, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

მტკიცებულებები, რომელსაც იგი საჭიროდ თვლის, სასამართლოსაც შეუძლია დაეხმაროს მას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის ფარგლებში. სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე, პროცესში მონაწილე ყველა მხარე (მოსარჩელე და მოპასუხე) ვალდებულია, წარუდგინოს სასამართლოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მისცეს ახსნა-განმარტებები და სწორი/სანდრო ინფორმაცია. ამდენად, სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები არ ათავისუფლებს მხარეებს აქტიურად გამოიყენონ შეჯიბრებითობის პრინციპი.

2.1. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოდან მტკიცებულებათა გამოთხოვა

სასამართლო, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ ავალებს მოპასუხე - ადმინისტრაციულ ორგანოს მის ხელთ არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენას. ადმინისტრაციული წარმოების მასალები მოიცავს ყველა იმ მტკიცებულებას, რაც თავშესაფრის მაძიებელი პირის მიმართ შეგროვდა.[18] მაგ., ანკეტა, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრების ოქმი,[19] რომელშიც დეტალურადაა განხილული მიზეზები, თუ რის გამო დატოვა მან წარმოშობის ქვეყანა, ხორციელდებოდა თუ არა მის მიმართ რაიმე სახის დევნა და სხვა. გასაუბრების ოქმში ასახულია თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დევნაში ძირითადად მოიაზრება რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო ბოჭვა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მტკიცებულების სახით წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს სტატუსის დადგენის განყოფილების მიერ შედგენილ დასკვნას, რაც ასახავს არგუმენტებს, რომლებიც მოსარჩელემ მოთხოვნას დაუდო საფუძვლად; დასახელებული არგუმენტების შეფასებას სამმართველოს მიერ; დადგენილ კრიტერიუმებთან დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისობის შეფასებას 1951 წლის ჟენევის კონვენციის მიხედვით; მსჯელობას დაინტერესებული პირის მიმართ დევნის განხორციელების საფუძვლიანი შიშის რეალურობის არარსებობის შესახებ. დასკვნაში ასახული რეკომენდაციით, საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს სტატუსის დადგენის განყოფილება მიიჩნევს, აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრის მაძიებელი 1951 წლის ჟენევის კონვენციის 1A(2) მუხლითა და "საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე ითხოვს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას, რომლითაც ადგენს რეალურია თუ არა დევნა, რომელზეც მიუთითებს თავშესაფრის მაძიებელი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციის საქმეების განხილვას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ფაქტებზე, არამედ თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, სასამართლო ადარებს მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებას და ადმინისტრაციულ ორგანოში, გასაუბრებაში ასახულ გარემოებებს, რათა დაზუსტდეს, ხომ არ ხდება მოსარჩელის მხრიდან ცრუ ინფორმაციის მიწოდება და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ამ მხრივ სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული დისკრეცია, თვითინიციატივის ფარგლებში გადაამოწმოს ყველა მტკიცებულება და ფაქტი,

[18] მუხლი 5, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 06 აგვისტოს N588 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება

[19] მუხლი 35, პუნქტი 2, „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.

დამატებით გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საქმის სრულყოფილად გამოკვლევისათვის.[20]

2.2. სასამართლოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა

უცხოელ პირს, რომელსაც სურს საქართველოში თავშესაფრის მიღება, ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის ფარგლებში ამოწმებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხომ არ არის პირის საქართველოში გადაადგილება ან მისთვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი. ასეთი ინფორმაცია საიდუმლო ხასიათისაა და მისი შესწავლა სპეციალური წესების დაცვით ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე დაფუძნებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნაზე, თავშესაფრის მაძიებელი პირის საქართველოში ყოფნის არამიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თვითინიციატივით გამოითხოვოს საიდუმლო ინფორმაცია, რომლითად ადგენს არის თუ არა პირი სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი.[21] სასამართლო, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, დახურულ სხდომაზე იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებას ისე, რომ სასამართლო სხდომას არ ესწრება არც ერთი პირი.[22] აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევის შემდეგ, სასამართლოს უჩნდება შინაგანი რწმენა გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.[23] მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოცემული ინფორმაცია არ მჟღავნდება მხარეებთან, მათ შორის არც თავშესაფრის მაძიებელ პირთან, რომელსაც ეხება ინფორმაცია. ასევე, ეს ინფორმაცია არ აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაში. საიდუმლო ინფორმაციის გამოკვლევისა და სხვა გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, უარის თქმას ან ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალებას, ხელახლა შეისწავლოს მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები.

იმის გათვალისწინებით, რომ პირის მიმართ სახელმწიფოსგან მოძიებული ინფორმაცია არის საიდუმლო, მისი შესწავლისა და გამოკვლევის ერთადერთი საშუალება თავშესაფრის მაძიებლისთვის არის სასამართლო, რომლის მიმართაც თავშესაფრის მაძიებელ პირს უნდა გააჩნდეს ნდობა, რომ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება.[24] თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს, თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია, მისთვის მინიჭებული იგივე უფლებების გამოყენებით, გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, თავშესაფრის მაძიებელს აქვს ორმაგი კონტროლის საშუალება, გადაამოწმოს თავის შესახებ ინფორმაცია არის თუ არა

[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N21522/93 „Georgiadis v. Greece“, 29 მაისი, 1997. პარაგრაფი 43.

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N8139/09 „Othman (Abu Catada) v. The United Kingdom“, 9 მაისი, 2012. პარაგრაფები 183-185.

[22] მუხლი 20[1] , ნაწილი პირველი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, N7, თბილისი, 2021, გვ. 14-20.

[23] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37201/06 „Saadi v, Italy“, 28 თებერვალი, 2008. პარაგრაფები 125 და 138.

[24] გეგენავა, დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი, წიგნში: გიორგი კვერენჩხილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 144-152.

სრულყოფილად შესწავლილი და ობიექტურად არ ჩათვალოს, რომ იგი გახდა უსამართლობის მსხვერპლი.[25]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელი პირი, რომელსაც სახელმწიფო უარს ეუბნება საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული რეკომენტაციით, მას აქვს უფლება სასამართლოს მეშვეობით გადაამოწმოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის რელევანტურობა. აქვე, სასამართლო უფლებამოსილია, თვითინიციატივით გამოითხოვოს ეს მტკიცებულება და შეაფასოს, რამდენად ადეკვატური ფაქტები უდევს საფუძვლად პირის საქართველოში ყოფნის მიზანშეუწონლობის საკითხს. აუცილებელი არ არის, რომ სასამართლო სხდომაზე მხარემ იშუამდგომლოს აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა, რამდენადაც ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით, მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეს ასეთი ინფორმაციის თვითინიციატივით გამოთხოვა ან დამოუკიდებლად გამოითხოვოს ის.[26]

საყურადღებოა ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვას, თუმცა თავშესაფრის მაძიებელი არ ეთანხმება ასეთი ინფორმაციის სასამართლოსთვის მიღებას, ან როდესაც სასამართლო ითხოვს საიდუმლო ინფორმაციას მხარეთა პოზიციის მოსმენის გარეშე. ერთი მხრივ თვითინიციატივა მიმართულია იმისკენ, რომ მხარეთა შუამდგომლობის გარეშეც შეძლოს სასამართლომ სრულყოფილად საქმის გამოკვლევა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება თავშესაფრის მაძიებლის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც, თავისი ახსნა-განმარტების მიხედვით, იგი წამოსულია წარმოშობის ქვეყნიდან დევნის გამო. შესაძლოა, მას არ სურდეს თავის შესახებ პერსონალური ინფორმაციის ვინმესთვის, თუნდაც სასამართლოსთვის გაზიარება. ამდენად, სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, როდესაც საქმე ეხება იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც მიგრანტის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას განეკუთვნება, უნდა საჭიროებდეს ასეთი პირის თანხმობას, მკაცრად განსაზღვრული წესის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ვერ გახდება.

3. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოვლენილი პრობლემური ასპექტები

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სასამართლოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე საქმის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული მასალების შეფასება. სასამართლო დეტალურად და ზედმიწევნით იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც მას ხელთ აქვს. გასაჩივრებული ადმინისტაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება არ გულისხმობს მხოლოდ მისი ფორმალური ნაწილის შესწავლას. სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება თავისთავად არ ნიშნავს სამართლიანს. ამდენად, საქმის განხილვის პროცესში სასამართლო აქტიურად არის ჩართული ყველა მტკიცებულების ან საკითხის დეტალურად გამოკვლევაში. თავშესაფრის მაძიებლის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, არამედ დევნის შიშზე, ინდივიდუალურ შემთხვევაში შეიძლება იყოს რეალური ან ცრუ ინფორმაცია.

---

[25] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N3ბ/374-22, 29 მარტი, 2022.

[26] კოპალეიშვილი, მ., სხირტლაძე, ნ., ქარდავა, ე., ტურავა, პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 244-246.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (შემდგომში - UNHCR)[27] 1998 წლის 16 დეკემბერს გამოცემულ ანგარიშში, ლტოლვილთა საჩივრებში მტკიცებულების ტვირთსა და სტანდარტებზე, ადგენს, რომ „სანდოობა დადგენილია, როდესაც განმცხადებელმა წარმოადგინა ისეთი საჩივარი, რომელიც ლოგიკური და დამაჯერებელია, არ ეწინააღმდეგება ზოგადად ცნობილ ფაქტებს და ამასთან, დაბალანსებულია და შესაძლებელია, რომ სარწმუნოდ იქნას მიჩნეული".

ამდენად, ,,საფუძვლიანი შიში" შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან. განმცხადებლის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით და შესაბამისი მტკიცებულებებით. სანდოობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- კონკრეტულობა და საკმარისი დეტალები;
- განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ზეპირი ანდა წერილობითი ინფორმაციის შესაბამისობა;
- წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციასთან შესაბამისობა;
- დამაჯერებლობა.

ზოგადად, მოსარჩელის სანდოობის შემოწმებისას, სასამართლო ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საქმის განხილვის პროცესში წარდგენილი არსებითი ფაქტების საფუძვლიანობა და თავშესაფრის მაძიებლის მიერ გადმოცემული ფაქტების თანმიმდევრულობა/ურთიერთშესაბამისობა (ანკეტა, გასაუბრების მასალა). მაგ., თავშესაფრის მაძიებელი პირი ითხოვს ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას იმ საფუძვლით, რომ იგი არის რელიგიური ნიშნით დევნილი და მიაჩნია, რომ თუ იგი დაბრუნდება თავისი წარმოშობის ქვეყანაში, სარწმუნოების შეცვლის გამო მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება. თვალსაჩინოებისთვის, თუ თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაა ეგვიპტე, რომელიც არის ისლამური რესპუბლიკა, ხოლო თავშესაფრის მაძიებელი მიუთითებს, რომ მან მიიღო ქრისტიანობა და აქვს შიში, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება მოკლან,[28] ან პირი საქართველოში ითხოვს თავშესაფარს იმ მიზნით, რომ წარმოშობის ქვეყანაში იგი იყო ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრი და ამის გამო მასზე ხორციელდებოდა დევნა, სუბიექტურად, შიში შესაძლოა იყოს რეალური, თუმცა, მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია ჰქონდეს მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებს, რომ კონკრეტულად მის მიმართ ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს დევნა.[29] ამდენად, სუბიექტური შიში გამყარებული უნდა იყოს ობიექტური, რეალური მტკიცებულებებით.

ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმის წარმოების მასალების გამოკვლევის პროცესი. მოსამართლე დეტალურად იკვლევს, ხომ არ გამორჩა რაიმე მტკიცებულების შეფასება ადმინისტრაციულ ორგანოს. მაგ., თავშესაფრის მაძიებელი, რომელიც განმარტავს, რომ რელიგიური ნიშნის გამო მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა (მაგ., ოჯახის წევრის მხრიდან), ხოლო აღნიშნულის

[27] შეიქმნა 1950 წელს, გენერალური ასამბლეის 1949 წლის 3 დეკემბრის №319 (IV) რეზოლუციით და მისი მანდატი ითვალისწინებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას და სახელმწიფოების ხელშეწყობას ამ ადამიანების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიმართულებით.

[28] ეგვიპტე. მუსლიმთა საძმო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018 http://coi-mra.gov.ge/ka/2018/03/05/%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%9D/ [უ. გ. 01.03.2023].

[29] სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად", UNHCR, გვ. 18-25.

დამადასტურებლად წარმოადგენს ჯანმრთელობის ცნობას, რომელშიც ექიმის მიერ მითითებულია, რომ განმცხადებლის სხეულზე აღინიშნებოდა დაზიანებები, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს განმცხადებლის მიერ მიწოდებული ყველა მტკიცებულება, ხოლო მეორე საკითხია სანდოდ მიიჩნევს თუ არა მას. ამდენად, სასამართლო მკაცრად აკონტროლებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესს, რომ არ მოხდეს რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამორჩენა ან უგულებელყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები მოიცავს თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის ხელშეწყობას სასამართლო სხდომაზე გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, მის შესახებ არსებული ინფორმაცია, გამოითხოვოს მტკიცებულებები, მოისმინოს მხარეთა ახსნა-განმარტება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სასამართლო შეზღუდულია თვითონ განახორციელოს გარკვეული მოქმედებანი. მაგ., თუ სასამართლო ჩათვლის, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირთან ადმინისტრაციულ ორგანოში გასაუბრება ჩატარდა არასრულყოფილად, ან რაიმე მტკიცებულება არ არის გამოკვლეული, სასამართლო თავიდან ავალებს მოპასუხე - ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის ხელახლა შესწავლას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არის ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება, გამოკვეთოს თავშესაფრის მაძიებლის მოთხოვნის რეალური მოცემულობა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია უნდა იყოს სანდო წყაროდან მიღებული და შეესაბამებოდეს წარმოშობის ქვეყანაში არსებულ იმ პერიოდის მდგომარეობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, თუმცა მხოლოდ სასამართლოს მიხედულობა ვერ დაადგენს საქმეზე ჭეშმარიტებას, თუ მხარეთა აქტიური ნება არ იქნება გამოვლენილი, რაც, საბოლოოდ, დააზიანებს თავშესაფრის მაძიებლის ან სახელმწიფოს ინტერესებს.

დასკვნა

თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის საკითხის შესწავლას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი, ხოლო სასამართლო აფასებს მის მიერ უარის თქმის საფუძვლებს, იკვლევს საქმის მასალებს, თვითინიციატივის ფარგლებში ადგენს თავშესაფრის მაძიებელი პირის რეალურ მდგომარეობას და მხოლოდ შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. როგორც გამოიკვეთა, სასამართლო მიმართულია, დაიცვას ბალანსი, რომ არ დაირღვეს თავშესაფრის მაძიებელი პირის სოციალურ-სამართლებრივი უფლებები და სახელმწიფო უსაფრთხოება. აღნიშნული საკითხის შესწავლა სასამართლო წარმოებისას საკმაოდ რთულია და დიდი ძალისხმევა სჭირდება, თუმცა მოსამართლის მიხედულობისა და ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, რომლითაც იგი იკვლევს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებების შელახვას მინიმალურ დონეზე ამცირებს.

სტატიაში გამოიკვეთა ის საპროცესო უფლებები, რომელიც საქმის განხილვის ეტაპზე თავშესაფრის მაძიებელს გააჩნია. ასევე, გამოვლინდა სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, რა მექანიზმების გამოყენებით შეუძლია მას მტკიცებულებათა მოპოვება, მათი გადამოწმება და სამართლიანი შედეგის მიღება. ამასთან, შეფასდა საიდუმლო ინფორმაციის სასამართლოს მხრიდან გამოთხოვისა და შეფასების საკითხი.

გამოიკვეთა საქმის განხილვისას არსებული პრობლემური ასპექტები:

- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა;
- თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიცემული ინფორმაციის სანდოობის დადგენა;
- თავშესაფრის მაძიებელი პირის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება;
- სასამართლოს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეფექტიანობა.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ თავშესაფრის მაძიებელს აქვს პრივილეგირებული უფლებები სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნული სტატუსის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მისი მინიჭება ხანგრძლივი პროცედურებისა და საქმის გარემოებების დეტალურად შესწავლის შედეგად ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ მოქმედებს თავშესაფრის მაძიებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, თუ პირს საქართველოში ყოფნის სხვა საფუძველი არ გააჩნია, იგი ვალდებულია დატოვოს საქართველო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი გაძევება, რაც გულისხმობს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას.[30] ამდენად, სწორედ სასამართლოს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, დეტალურად და სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და ობიექტურად შეაფასოს გარემოებები, რადგან თუ აღმოჩნდება, რომ სახელმწიფომ არასწორად შეუზღუდა თავშესაფრის მაძიებელ პირს საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების უფლება, დაირღვევა არა მხოლოდ ქართული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლება, მიგრაციის საკითხებთან მიმართებით.

საბოლოოდ, სასამართლო თავისი დისკრეციის ფარგლებში და კანონმდებლობის საფუძველზე, იცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, რითაც უზრუნველყოფს მიგრანტთა უფლებების დაცვას, არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

[30] Priebe, Stefan, Giacco, Domenico & El-Nagib, Rawda. Public health aspects of mental health among migrants and refugees: a review of the evidence on mental health care for refugees, asylum seekers and irregular migrants in the WHO European Region. World Health Organization. Regional Office for Europe. (2016). p. 18-20. https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/326308/9789289051651-eng.pdf?sequence=3&isAllowed=y. [უ. გ. 01.03.2023].

ბიბლიოგრაფია

1. გეგენავა, დიმიტრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი, წიგნში: გიორგი კვერენჩხილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022;
2. კოპალეიშვილი, მზია, სხირტლაძე, ნინო, ქარდავა, ეკატერინე, ტურავა, პაატა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, N7, თბილისი, 2021;
4. სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად“, UNHCR;
5. ფირცხალაშვილი, ანა. ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, სამეცნიერ ო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #2(41), 2014;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N27765/09, Hirsi Jamaa and others v. Italy“ 2012 წლის 23 თებერვალი, პარაგრაფი 120;
7. საქართველოს კონსტიტუცია;
8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
9. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19 ივნისი, 2007;
10. „საერთაშორისო დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016;
11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 06 აგვისტოს N588 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება;
12. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ,,თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 06 აპრილი;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N3ბ/374-22, 29 მარტი, 2022;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N3/6427-21, 2021 წლის 17 დეკემბერი;
15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N16034/90 „Van de Hurk v. the Netherlands“, 1994 წლის 19 აპრილი;
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N21522/93 „Georgiadis v. Greece“, 1997 წლის 29 მაისი;
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37801/97 „Suominen v. Finland“, 2003 წლის 24 ივლისი;
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37201/06 „Saadi v, Italy“, 2008 წლის 28 თებერვალი;
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N8139/09 „Othman (Abu Catada) v. The United Kingdom“, 2012 წლის 9 მაისი;
20. Ophelia. Field, (with the assistance of Alice Edwards) Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees, Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees (April 2006);
21. Priebe, Stefan, Giacco, Domenico & El-Nagib, Rawda. Public health aspects of mental health among migrants and refugees: a review of the evidence on mental health care for refugees, asylum seekers and irregular migrants in the WHO European Region. World Health Organization. Regional Office for Europe. 2016.

https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/326308/9789289051651-eng.pdf?sequence=3&isAllowed=y. [უკანასკნელად გადამოწმდა 01.03.2023];

22. ეგვიპტე. მუსლიმთა საძმო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018 http://coi-mra.gov.ge/ka/2018/03/05/%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%9D/ [უკანასკნელად გადამოწმდა 01.03.2023].